SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

OSIMERTINIB - TAGRISSO®

რა არის TAGRISSO

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ოსიმერტინიბი	40 მგ-იანი აბი: ბეჟი, მრგვალი 80 მგ-იანი აბი: ბეჟი, ოვალური

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის 80 მგ-იანი 1 აბი დღეში, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, ყოველდღე.

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანი, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცებისა და გატეხვის გარეშე. ტაბლეტები შეიძლება წყალში გაიხსნას (ურიეთ მანამ, სანამ სრულად არ გაიხსნება 50 მლ უგაზო წყალში). მაშინვე დალიეთ ნაზავი და გამორეცხეთ ჭიქა.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვებისგან განცალკევებულად.

თუ დაგავიწყდათ მიღება: მიიღეთ 12 საათის განმავლობაში შესაბამისი დოზა. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა. დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვებისგან განცალკევებულად	
უწყვეტლივ	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ და (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქცია და კალიუმი) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

TAGRISSO®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: ნუ მოიხმართ კრაზანას, ბოლდოს, ფუკუსს, აზიური ჟენშენს, სევილიურ ფორთოხალს, პასიფლორასა და

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

ბაბუაწვერას TAGRISSO®-სთან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	**მომნელებელი სისტემის დარღვევები**: დიარეა, პირის ღრუს ანთება (წყლული). **კანის დარღვევები**: კანის გამონაყარი, ქავილი, კანის სიმშრალე **ფრჩხილები**: პარონიქია (ფრჩხილის ინფექცია), ფრჩხილების აძრობა **ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები**: თრომბოციტების შემცირება (თრომბოპენია) და ნეიტროფილური პოლინუკლეარების შემცირება (ნეიტროპენია), თეთრი სისხლის უჯრედების შემცირება (ლეუკოპენია)
ზოგ პაციენტს ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება	55 კგ-ზე ნაკლები წონის პაციენტები(გვერდითი მოვლენების რისკის მომატება)
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	**მომნელებელი სისტემის დარღვევები** > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში. **ფილტვების არეში დარღვევები** > დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება **ხედვის დარღვევები** > თვალის ტკივილი, ცრემლიანობა ან სიწითლე, ბუნდოვანი ხედვა, დისკომფორტი სინათლეზე **ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები** > ტემპერატურა > 38,5 °C > ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შრდვისას, დიარეა და სიცხე ერთად **გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები** > გონების დაკარგვა, გულის ფრიალი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია	
წონა	**გააკონტროლეთ** რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
კანის მოვლა	*ჰიგიენისთვის* **უპირატესობა მიანიჭეთ** რბილ საპონსა და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. **მოერიდეთ** ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. *მზისგან დასაცავად* **გამოიყენეთ** მზისგან დამცავი კრემი და **მოერიდეთ** მზეზე გასვლას
ფრჩხილების მოვლა	**მოერიდეთ** ფეხისა და ხელის ფრჩხილების დაზიანებას **არ გამოიყენოთ** ლაქი, გარდა იმ (დამცავი) ლაქისა რომელიც გირჩიათ სამედიცინო ჯგუფმა. **უპირატესობა მიანიჭეთ** ფრჩხილების სწორად და არა ზედმეტად მოკლედ დაჭრას.
თვალები	**მოერიდეთ** საკონტაქტო ლინზების ტარებას. **მოერიდეთ** მანქანის მართვას დაბალი განათების პირობებში
ინფექცია	**მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

დიარეა	**უპირატესობა მიანიჭეთ** დაბალბოჭკოვან საკვებს. სასურველია, **მიირთვათ** სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. **არ მიირთვათ** უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით.
ანთება პირის ღრუში (წყლული)	**მოერიდეთ** მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის